ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №238109

ნომერი: AR160626

თარიღი : 21.06.2012

გაცემის თარიღი : 06.07.2012

გაცნობის თარიღი : 09.07.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რამზაი რიჩი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).:

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზ. N30–ში (უძრავი ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის ესკიზის წინასწარ შეთანხმებას.
გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილულ იქნა გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოზე (ოქმი N26, 26.06.12 წ.), რომლის დასკვნის საფუძვლეზეც მიეცა დადებითი შეფასება რეკომენდაციით: ,,აღსანიშნავია, რომ საერთო მიდგომა ძეგლის მიმართ რეკონსტრუქციის კუთხით საკმაოდ კორექტულია. სასურველია, პროექტში წამყვანი დარჩეს ძირითადი შენობის მხატვრულ–არქიტექტურული პოზიცია. დასამუშავებელია გრიბოედოვის მხარეს შენობის ბოლო სართული. წარმოდგენილ პროექტში იგი ზედმეტად აქტიურია. დაშენება გრიბოედოვის ქუჩისკენ კვლავ კასკადურად უნდა განვითარდეს. ყურადღება უნდა მიექცეს გადახურვის ფორმას, პროპორციასა და სტრუქტურას. არ არის სასურველი ზედმეტი დანაწევრება. წარმოდგენილი იყოს ფოტოგაწშლა უბნის ამ მონაკვეთის მთლიანი ჩვენებით სხავდასხვა რაკურსებიდან, როგორც ქუჩის ასევე ეზოს მხრიდან ზედხედთან ერთად''.
შესაბამისად, პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის საკითხზე მსჯელობისათვის, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში (ელექტრონული განაცხადები –> მშენებლობის ნებართვა –> კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი –> სარეაბილიტაციო სამუშაოები –> ქმედებები: ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები –> სტადიები: მშენებლობის ნებართვა) და ატვირთული უნდა იქნას სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.